ლადო პაპავა - რუსული კაპიტალისთვის კარის გახსნა ქვეყნისთვის სასიკეთო არ არის

http://www.interpressnews.ge/ge/ekonomika/193915-lado-papava-rusuli-kapitalisthvis-karis-gakhsna-qveynisthvis-sasiketho-ar-aris.html

14:06 29-02-2012

ქართულმა ეკონომიკამ "ნაციონალური მოძრაობის" 8-წლიან ქმედებებს გაუძლო და ეს არის მთავარი გამოცდა , - ამის შესახებ ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში ლადო პაპავამ "ინტერპრესნიუსს" პრეზიდენტის გუშინდელი მოხსენების შეფასებისას განუცხადა.

"საქართველოს ეკონომიკამ გაუძლო "ნაციონალურ" რეჟიმს და ეს არის ყველაზე მთავარი გამოცდა. ეკონომიკა არ დანგრეულა, პირიქით, არის პოზიტიური ძვრები", - აღნიშნა პაპავამ.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ რუსეთთან უვიზო რეჟიმის შემოღების ინიციატივაში პოლიტიკურისგან განსხვავებით, ეკონომიკურ კომპონენტში სიახლე არ არის.

"ის, რომ პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ მოუწოდა რუსულ კაპიტალს, შემოვიდეს საქართველოში, ახალი არ არის. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ფართოდ არის გახსნილი კარი რუსული კაპიტალისთვის, რაც ქვეყნისთვის სასიკეთო ნამდვილად არ არის", - მიაჩნია ლადო პაპავას.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ მოსახლეობის დასაქმებაზე საუბრისას, მიხეილ სააკაშვილს საზოგადოებისთვის ახალი არაფერი შეუთავაზებია. პაპავას არ ესმის, რატომ არის მიზანშეწონილი წარუმატებელი პროექტის რეგიონებში განხორციელება, რომელიც მსურველთათვის კომპიუტერისა და ინგლისურის შესწავლას გულისხმობს.

გარდა ამისა, ექსპერტს მიაჩნია, რომ პრეზიდენტის მიერ სტუდენტების დასაქმებაზე საუბარი საარჩევნო პერიოდს უკავშირდება.

"საჭიროა მათი ხმების მოსყიდვა", - აღნიშნა პაპავამ.

ექსპერტის აზრით, პრეზიდენტის ინიციატივას, რომლის მიხედვითაც ოჯახი ყოველ მესამე ბავშვზე 1000 ლარს მიიღებს, ყოველ მომდევნოზე კი - 2000 ლარს, კომპლექსურობა და გააზრებულობა აკლია.

"ერთი რამ, რაც გამაღიზიანებელი იყო, არის ის, რომ საქართველოს პატრიარქს პრეზიდენტი წილში ჩაუჯდა, როცა თქვა, რომ ამ ინიციატივით გამრავლებაზე ზრუნვის პროცესს გავაძლიერებთო", - განაცხადა პაპავამ.

ექსპერტს ასევე აინტერესებს, რა დაემართა მთავრობის 10-პუქტიან გეგმას.

"პრეზიდენტმა თქვა, რომ გეგმა 5-პუქტიანია, მაშინვე ჩნდება კითხვა - რამდენიმე თვის წინ იყო 10-პუქტიანია, ახლა შეიკვეცა, რეცხვის შემდეგ შემცირდა, თუ რა მოუვიდა? თუმცა, მას სიტყვით გამოსვლისას 5 პუქტიც არ ჩამოუთვლია, ისაუბრა მხოლოდ დასაქმებაზე, სოფლის მეურნეობაზე და ჯანდაცვაზე", - აღნიშნა პაპავამ.

პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე ყოველწლიური მოხსენებით გუშინ წარდგა. მიხეილ სააკაშვილი რუსეთთან უვიზო რეჟიმის ცალმხრივად გაუქმების ინიციატივით გამოვიდა. ასევე, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ქვეყნის ეკონომიკამ მთავარ გამოცდას გაუძლო. მიხეილ სააკაშვილმა იმ ინიციატივებზეც ისაუბრა, რომლებმაც მოსახლეობის დასაქმებასა და დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორებას უნდა შეუწყოს ხელი.